



იურისტების სამყარო

რამაზ კვარაცხელია

**საკუთრების წინააღმდეგ
მიმართული ზოგიერთი
დანაშაულის კვალიფიკაცია**

თბილისი, 2015

გამომცემლობა „იურისტების სამყარო“



წინამდებარე ნაშრომი მოიცავს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ცალკეულ დანაშაულთა კვალიფიკაციის პრობლემებს. ნაშრომში გათვალისწინებულია ყველა საკვანძო საკითხი. მასში ასევე განხილულია მაგალითები საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკიდან.

ნაშრომი განკუთვნილია შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, სასამართლოს მუშაკების, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის. ის ასევე ხელს შეუწყობს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სისხლის-სამართლებრივი დახასიათებით დაინტერესებულ ყველა პირს.

რედაქტორები: *ოთარ გამყრელიძე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

ფრიდონ დიასამიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პრორექტორი. პოლიციის პოლკოვნიკი.

რეცენზენტები: *გელა აბესაძე, სამართლის დოქტორი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) I მთავარი სამმართველოს უფროსი. პოლიციის პოლკოვნიკი.*

იოსებ ვარძელაშვილი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2015

© რამაზ კვარაცხელია, 2015

ISBN 978-9941-9444-6-8



გამომცემლობა “იურისტების სამყარო”

თბილისი, მ. კოსტავას №75; ტელ.: 2 38 35 99; 557 51 51 34

E-mail: Lawyers.world@yahoo.com;

<https://www.facebook.com/PublishingHouseLawyersWorld>

სარჩევი

რედაქტორებისგან.....	5
შესავალი.....	9
საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით	10
ქურდობა.....	14
დაუფლების ცნება.....	15
ქურდობის ობიექტი	23
მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.....	31
სპეციალური განზრახვა.....	44
ქურდობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები.....	45
ქურდობის ამსრულებლობა და თანამონაწილეობა	64
ქურდობის ამსრულებელი (თანაამსრულებელი), შუალობითი ამსრულებელი	66
თანამონაწილეობა ქურდობაში.....	70
ქურდობის ორგანიზატორი.....	71
ქურდობის ნამქეზებელი	72
ქურდობაში დამხმარე.....	74
ძარცვა	78
აშკარა დაუფლების ცნება	79
ამსრულებლობა და თანამონაწილეობა რთული შემადგენლობის დანაშაულებში	89
ყაჩაღობა	111
§1. ზოგადი შემადგენლობა.....	112
ა) თავდასხმის ცნება.....	112
ბ) ყაჩაღობის ობიექტი	120
გ) ფსიქიკური ძალადობის ცნება	125
დ) ფიზიკური ძალადობის ცნება	143
§2. ყაჩაღობის სუბიექტური შემადგენლობა	150
ა) განზრახვა.....	150
ბ) შეცდომა	155
გ) დაზარალებულის შეცდენა	156
§3. ყაჩაღობის კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები	157
ა) ყაჩაღობის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კვალიფიკაცია.....	157
ბ) ყაჩაღობის დროს ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების კვალიფიკაცია.....	159
გ) ყაჩაღური თავდასხმის დროს ჩადენილი მკვლელობის	

კვალიფიკაცია.....	164
§4. ყაჩაღობის მომზადების და მისი მცდელობის პრობლემა	181
§5. ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელი ნიშნების დახასიათება.....	192
სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები	192
ყაჩაღობა ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შელწევით	192
ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფურად	192
ყაჩაღობა ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ... სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეცამე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები	201
ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის	203
ყაჩაღობა ჩადენილი ბინაში უკანონო შელწევით	205
ყაჩაღობა ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით	206
სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობის სპეციალური ნორმები	208
ყაჩაღობა ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ	208
ყაჩაღობა ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მისაკუთრების ან გამოძალვისათვის	210
თაღლითობა	212
გამოძალვა.....	228
მითვისება და გაფლანგვა	232
განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.....	239
ქონებრივი დაზიანება მოტყუებით.....	248
წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება.....	256
ნივთის დაზიანება ან განადგურება.....	258
ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით.....	262
საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა.....	267
სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა	272
გამოყენებული ლიტერატურა	276

რედაქტორებისგან

წინამდებარე ნაშრომში საკითხის მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ შესწავლილია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხები. ამ დანაშაულთა შემადგენლობები აღწერილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე თავში.

ნაშრომის ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია მოქმედი კანონმდებლობის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა.

რამაზ კვარაცხელიას გამოთქმული აქვს მეტად საყურადღებო მოსაზრებები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ცალკეულ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხებზე.

ნაშრომი ძირითადად სამეცნიერო ხასიათისა. თუმცა მას აგრეთვე პრაქტიკული და სასწავლო დანიშნულება აქვს. ამიტომ ამ ნაშრომის გამოქვეყნება უთუოდ გაამდიდრებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას.

***ოთარ გამყრელიძე იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი***

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე თავი ეძღვნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. წინამდებარე მონოგრაფია აღნიშნულ დანაშაულთა კვალიფიკაციის პრობლემების კვლევის და სასამართლო პრაქტიკის შეფასების მცდელობაა.

შესავალშივე მინდა ავლნიშნო, რომ ბატონ რამაზ კვარაცხელიას ნაშრომი „საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაცია“ დაწერილია კარგი ქართული სალიტერატურო ენით, რაც მიუთითებს ავტორისათვის დამახასიათებელ წერის მაღალ კულტურაზე. ყოველი ფრაზა ღრმად გააზრებული და შინაარსიანია. კონკრეტული საკითხის გაანალიზებისას ავტორის სიღრმისეული მსჯელობა შერწყმულია აზრის გადმოცემის გასაგებ და მარტივ სტილთან, რაც შესაძლებელს ხდის გადმოცემული საკითხის არსი ადვილად აღქმადი იყოს ნებისმიერი მკითხველისათვის. ნაშრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ავტორს საფუძვლიანად შეუსწავლია და გაუანალიზებია, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები, ასევე სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული დოქტრინა.

დანაშაულთა წარმოშობის ზოგადი ისტორიისათვის თვალის გადავლება აშკარას ხდის იმ რეალობას, რომ დანაშაულთა უმრავლესობის წარმოშობის წინაპირობა ქონებრივი სარგებლის მიღებაა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ დაცული სიკეთის დაუფლების ხერხი შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ მას გააჩნდეს ქონების მიღების ან ქონებრივი სარგებლის მიღების მიზანი.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მეტად ნაცნობი საკითხი და შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა და კვლევის ობიექტია.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი ბუნება და მათი კვალიფიკაცი-

ის პრობლემა დღემდე აქტუალურია, რასაც ადასტურებს, როგორც იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა მრავალფეროვნება, ასევე მისი პრაქტიკული რეალიზაციის დროს სასამართლო პრაქტიკის მიერ გამოვლენილ დანაშაულთა კვალიფიკაციის პრობლემები.

ნაშრომის ავტორი მიიჩნევს, რომ კვალიფიკაციის პრობლემები განპირობებულია დანაშაულთა ზოგიერთი შემადგენლობებისათვის დამახასიათებელი საერთო მაკვალიფიცირებელი ნიშნებით.

მონოგრაფიის შესავალ ნაწილში განხილულია ქართული სამართლის ძეგლებში დაცული საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა არსი და მასთან ბრძოლის ისტორიული გამოცდილება. ქართული კანონმდებლობა დიდი ხანია იცნობს და სწავლობს ისეთ ქმედებათა შემადგენლობებს, როგორიცაა: პარვა, მეკობრეობა, გზებზე ყაჩაღობა, და სხვა.

ნაშრომის ავტორი ცდილობს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაციის დროს წამოჭრილი თეორიული და პრაქტიკული პრობლემის არა მხოლოდ ფრაგმენტულ და სიტუაციურ გაანალიზებას, არამედ კონცეპტუალურ, სტრატეგიულ ფორმატში მის წარმოჩენას. რაც ხაზს უსვამს ავტორის „მოურიდეტელ“ სურვილს მთლიანობაში წარმოაჩინოს საკვლევი თემატიკის აქტუალობა, პრობლემები და მისი გადაჭრის გზები.

ავტორი მონოგრაფიაზე მუშაობის დროს ყურადღებას ამახვილებს სასამართლო პრაქტიკის გაანალიზებაზე, არ ერიდება სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების შეფასებას და სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისას გამოთქმული აქვს მეცნიერულად დასაბუთებული შეხედულებები კონკრეტული ქმედების შემადგენლობის კვალიფიკაციაზე.

ნაშრომს თეორიული და პრაქტიკული ღირებულების

გარდა სასწავლო დანიშნულებაც გააჩნია, რადგან მასში სტუდენტებისათვის გასაგები ენითაა გადმოცემული და დაფუძვნილი, როგორც კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებათა საერთო, ასევე განმასხვავებელი მაკვალიფიცირებელი ნიშნები სასამართლო პრაქტიკული მაგალითების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ავტორი მონოგრაფიაში სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ პუნქტის ანალიზის დროს დანაშაულის ობიექტის განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ამასთან ერთად შეიძლება ითქვას, რომ გვთავაზობს ახალ საკანონმდებლო წინადადებას აღნიშნული პუნქტის ახალი რედაქციის გათვალისწინებით, რაც ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია.

აღნიშნული მონოგრაფია ავტორის რამდენიმე წლიანი პრაქტიკული საქმიანობის ნაყოფიერი პროდუქტია. ის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კვალიფიკაციის პრობლემების მკვლევარების, პრაქტიკოსი მუშაკებისა და საკითხის შესწავლით დაინტერესებული სტუდენტებისათვის.

ვფიქრობთ, რომ ნაშრომის წაკითხვა კიდევ ერთ ინტელექტუალურ სიამოვნებას მიანიჭებს სისხლისსამართლებრივი პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს.

***საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
აკადემიის პრორექტორი,
პოლიციის პოლკოვნიკი ფრიდონ დიასამიძე***

შესავალი

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მათი კვალიფიკაციის პრობლემა.

ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, თაღლითობის, გამოძალვის და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთა კვალიფიკაციის პრობლემები და მათი ყველა მაკვალიფიცირებელი ნიშანი.

ქართულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დღემდე არაა ერთიანი აზრი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხზე.

წინამდებარე ნაშრომი ხელს შეუწყობს ამ დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დახასიათებით დაინტერესებულ ყველა პირს თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში.

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანია გამოყენებული ლიტერატურისა და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების შედეგად ჩამოაყალიბოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სწორი კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის გზები, დეტალურად ახსნას, მაკვალიფიცირებელ ნიშანთა გამოყენების სპეციფიკა.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ხელს შეუწყობს სამართალგამოყენებითი ორგანოების მუშაკებს პრაქტიკულ საქმიანობაში, მეცნიერ მუშაკებს, იურიდიული სასწავლებლების პედაგოგებს, სტუდენტებსა და ამ დანაშაულთა იურიდიული დახასიათებით დაინტერესებულ ყველა პირს.

მიგვაჩნია, რომ ნაშრომი გარკვეულ წილად შეავსებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას.